შპს „მიკრონეტ“
ს/კ: 204557960
მის.: თელავისქ. № 20გ
ტელ.: +995 32 2 19 49 49
ელ.ფოსტა: info@micronet.ge

MICRONET

Micronet LTD
ID: 204557960
Add.: Telavi St. № 20g
Tel.: +995 32 2 19 49 49
E. Mail: Info@mironet.ge

ხელშეკრულება #12.09.2018
ინტერნეტმომსახურების მიწოდების შესახებ

ქ.თბილისი N 7 12 სექტემბერი 2018წ.

ერთის მხრივ შპს „მიკრონეტ“ (ს/კ: 204557960), მის: ქ.თბილისი, ც.დადიანის 265-267, სართული 1, ოფისი #1, შემდგომში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით სიხარულიძის სახით და მეორეს მხრივ ააიპ „ცაგერის სამხატვრო სკოლა“ (ს/კ: 242574638), მის: ქ.ცაგერი, რუსთაველის ქ. #43, შემდგომში „ მომხმარებელი“ წარმოდგენილი დირექტორის გიორგი დავითულიანის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

„მიმწოდებელი“ - ინტერნეტმომსახურების გამცემი იურიდიული პირი;
„მომხმარებელი“ - ინტერნეტმომსახურების მიმღები იურიდიულიპირი;
„ინტერნეტმომსახურება“ - საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტთან წვდომას და ამგვარად, გამოყენებული ქსელის ტექნოლოგიის ტერმინალური მოწყობილობის მიუხედავად, იძლევა ინტერნეტის ფაქტობრივად ყველა წერტილთან დაშვების შესაძლებლობას;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის“ მიერ „მომხმარებლისთვის“ ცაგერში, 24 საათიანი ინტერნეტმომსახურების მიწოდება, დანართი № 1-ში მოცემული პირობების შესაბამისად. მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი ვალდებულია დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად მომხმარებელს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის დადგენილება № 3-ით დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის (შემდგომში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი“) შესაბამისად ეკისრება მიმწოდებელს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით დადგენილი სახის დაზიანების აღმოფხვრისთვის დადგენილი ვადების მიმწოდებლის მიერ დარღვევის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მიმწოდებელმა მომხმარებელს არ გაუწია მოცემულ დღეს ამ ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურება და შესაბამისად მოხდება მომხმარებლისთვის მომსახურების საფასურის გადახდის თარიღის პროპორციული გადავადება. კლასიფიკაციის კოდი (72400000) ინტერნეტ მომსახურება

3. ინტერნეტმომსახურების ხარისხი

3.1. მხარეები ადასტურებენ, რომ მე-2 მუხლსა და დანართი № 1-ში მითითებული საკომუნიკაციო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა შეიძლება იყოს მიმწოდებლის კონტროლისა და შესაძლებლობის მიღმა. ნებისმიერი შეფერხება რომელიც გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების

მიმწოდებელი სხვა კომპანიების ქსელის გაუმართაობით, აღნიშნული სცილდება ინტერნეტ-პროვაიდერისა და ოპერატორის ტექნიკურ შესაძლებლობებს. ასევე შესაძლოა მომხმარებლის ქსელში ფიქსირდებოდეს ხარვეზი ან მომხმარებლის ანტენა იყოს შებრუნებული სხვა მხარეს, რაც საჭიროებს ლოკალურად პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი აღმოფხვრის დროის დადგენას.

4. მომხმარებლის უფლება-მოვალეობები

4.1. მომხმარებელი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისთვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა.

4.2. მომხმარებლის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არათავისუფლებს მომხმარებელს მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

4.3. მომხმარებელი ვალდებულია დროულად დაფაროს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების გადასახადი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.4. ნებისმიერი მესამე პირის მიერ მომხმარებლის ქსელის, აპარატურის, ტექნიკური თუ პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით (მათში შეღწევისა და ექსპლუატაციის/გამოყენების გზით) განხორციელებული ნებისმიერი სახის მოქმედებაზე, რომელსაც რაიმე სახის ზიანი მოაქვს მიმწოდებლისთვის, პასუხისმგებლობა (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებით) ეკისრება მომხმარებელს.

4.5. მომხმარებელი ვალდებულია ნებისმიერ დროს დაუშვას მიმწოდებელი მის კუთვნილ აპარატურასთან, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად.

5. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომხმარებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების მიწოდებაზე/შეზღუდოს მომსახურება:

- სააბონენტო მომსახურების გადაუხდელობის შემთხვევაში;
- მომსახურების მიმწოდებლის მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში;
- მომხმარებლის მიერ ტექნიკური მოწყობილობის დემარკაციის წერტილთან მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენლის დაუშვებლობის შემთხვევაში;
- მომსახურების მიმწოდებლის მიერ შეზღუდული მომსახურების აღდგენა ხდება შეზღუდვის მიზეზების აღმოფხვრიდან არა უგვიანეს მეორე დღის დასრულებამდე;
- მომხმარებელი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისთვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება;

5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს მომხმარებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის უფლებების რეალიზაციისთვის ხელშეწყობა.

5.4. მიმწოდებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისთვის რაც მომხმარებელს შეიძლება მიადგეს მომხმარებლის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან მომხმარებლის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან მიმწოდებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების (მიწოდების) უზრუნველყოფით და თავად მომხმარებელია პასუხისმგებელი მისი კუთვლინილი სისტემების დაცვაზე.

5.5. მიმწოდებელი არ არის ვალდებული მომხმარებლის ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს მის სარგებლობაში/მფლობელობაში არსებული შიდა ქსელი. დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად, დაზიანებიდან გამომდინარე.

5.6. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ღირებულება, თუ ამის მიზეზი გახდა სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება. მომსახურების ღირებულების ცვლილების შესახებ მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს მომხმარებელს მისთვის ხელმისაწვდომი გზით.

5.7. ლარის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შეცვალოს მომსახურების ღირებულება და აღნიშნულის შესახებ წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს მომხმარებელს მისთვის ხელმისაწვდომი გზით, აგრეთვე მიმწოდებლის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებით.

6. ფორს-მაჟორი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

6.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

- სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა).;
- გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
- ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

6.3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული ან/და არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

6.4. მხარეები ფორს-მაჟორულ მოვლენად მიიჩნევენ მიმწოდებლის პარტნიორების მიერ მიმწოდებლისთვის ინტერნეტ მომსახურების (ინფორმაციის მიწოდების) შეწყვეტას.

6.5. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6.6. ფორს- მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელ. ფოსტა, კურიერი და სხვა).

6.7. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.8. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნება მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტო წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა მომხმარებლის პირველადი რეგისტრაციის დროს.

7. მომსახურების საზღაური

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 100 ლარს, ასევე მომხმარებელს გადაცემული აქვს სპეციალური მოწყობილობა დროებით სარგებლობაში. ერთჯერადი ინსტალაციის ღირებულება შეადგენს 150 ლარს. პირველადი ჩართვის ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღეს. ეკონომიკურ 450 ლარამდე

7.2. სააბონენტო მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების სახით, შესაბამისი ანგარიშფაქტურის გამოწერის საფუძველზე.

7.3. 10 კალენდარული დღის განმავლობაში სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უზღუდავს მომსახურებას აბონენტს/მომხმარებელს. მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების შეღუდვა მოხდება მომხმარებლის წინასწარი შეტყობინებიდან (სატელეფონო შეტყობინება) არა უადრეს 3 დღისა, სამუშაო დღის წინა სამუშაო დღეს. ხოლო მომსახურების მიმწოდებლის მიერ შეზღუდული მომსახურების აღდგენა ხდება შეზღუდვის მიზეზების აღმოფხვრიდან არა უგვიანეს მეორე დღის დასრულებამდე.

8. მომსახურებით სარგებლობის წესები

8.1. მომსახურების სარგებლობისას აკრძალულია:

- რეკლამის, ინფორმაციის ან სხვა მასალების მასიური გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის ასეთი მასალების ადრესატების თანხმობის გარეშე, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტონული გადაცემების მეშვეობით და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ მიზნისთვის.
- ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ანგარიშსწორების ვალდებულების კუთხით სრულ და საბოლოო შესრულებამდე.

9.2. თუ ყოველი კალენდარული წლის დასრულებამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, თუ რომელიმე მხარე წერილობით უარს არ განაცხადებს ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება მომდევნო კალენდარული წლის ვადით.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:

- მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას, თუ მომხმარებელს აცნობეს ვალდებულების დარღვევის ფაქტის შესახებ და მომხმარებელი არ გამოასწორებს დარღვევას 10 კალენდალური დღის ვადაში;
- მიმწოდებლის ინიციატივით მომხმარებლის მიერ მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 45 დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში;
- მომხმარებლის მიერ ცალმხრივად, თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამგვარი დარღვევა გრძელდება 10 კალენდარულ დღეზე მეტხანს.
- მხარეთა შეთანხმებით, მომხმარებლის ინიციატივის შემთხვევაში ერთი თვით ადრე შეტყობინების გზით, ხოლო მიმწოდებლის ინიციატივით ერთი თვით ადრე შეტყობინების გზით. შეტყობინებად ჩაითვლება წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ელ.ფოსტაზე ან ტელეფონის ნომერზე ზარის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით.

მხარეები თანხმდებიან, რომ ეს მუხლი არ ვრცელდება ფორს-მაჟორის დროს.

9.4. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ნიშნავს არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულების შეწყვეტას. შესაბამისად, მომხმარებელი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დაგროვილი დავალიანება.

9.5. ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულთა და მუშაკებისთვის.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარშეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალასკარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება, იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მისი წერილობითი ფორმით შესრულების და მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. წინადებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.9. მომხმარებელი პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტში მითითებული მომხმარებლის საკონტაქტო მონაცემების სისწორეზე. მითითებულ მონაცემთაგან რომელიმეს ცვლილების თაობაზე მომხმარებელმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს.

9.10. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობას შეუსაბამონ, ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

9.11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითუეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

9.12. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით რომელიმე მხარისთვის გასაგზავნი ნებისმიერი შეტყობინება ან მოთხოვნა გაცემული უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე. აღნიშნულირეკვიზიტები, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნას ანგარიშსწორების დროს. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეტყობინება ან მოთხოვნა მიწოდებულად უნდა ჩაითვალოს შეტყობინების ან მოთხოვნის მობილურის ნომეზე ტექსტური შეტყობინების, ფაქსის ან ელ-ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის დროს, ხოლო ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - ფოსტაში განთავსებიდან მე-5 დღეს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შეტყობინება ადრესატს არ ჩაბარდა.

მიმწოდებელი: შპს „მიკრონეტ“ ს/კ: 204557960 ვებ. გვერდი: www.micronet.ge ელ.ფოსტა: info@micronet.ge ტელ: 0322 19 49 49 დირექტორი: დავითხიხარულიძე სს“ ვითიბიბანკი“ ანგ. ნომერი:GE79VT1100000000093607	მომხმარებელი: ააიპ „ცაგერის სამხატვრო სკოლა“ ს/კ: 242574638 ელ.ფოსტა: takveri2009@gmail.com ტელ: 568004413 დირექტორი: გიორგი დავითულიანი

10. დავების გადაწყვეტა

10.1.მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მომხმარებელს უფლება აქვს საჩივარი წარადგინოს მომსახურების მიმწოდებლის საჩივრების განმხილველ სამსახურში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ან სასამართლოში.

ურთიერთშეთახნმების პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მომხმარებლის მიერ ინტერნეტმომსახურების ხარისხთან ან მომსახურების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემის არსებობის შემთხვევაში პრეტენზიები უნდა წარედგინოს კომპანიის საჩივრების განმხილველ სამსახურს/იურიდიულ სამსახურს. იურიდიულ სამსახურთან დაკავშირება ხდება კომპანიის ქოლ-ცენტრის (ტელ: 2 19 49 49) საშუალებით ან წერილობითი საჩივრის გამოგზავნით, ელ.ფოსტაზე: samaghlobeli@micronet.ge; ან მისამართზე: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის 265-267, სართული 1, ოფისი #1; თუ ურთიერთშეთანხმებით დავა არ დასრულდა 15 დღის ვადაში მხარეებს შეუძლიათ დავა გააგრძელონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ სააგენტოში ან სასამართლოში.

მიმწოდებელი
შპს მიკრონეტი
დირექტორი: დავით სისარულიძე

MICRONET
204557960
GEORGIA "MIKRONET" LTD

მომხმარებელი
ააიპ ცაგერის სამხატვრო სკოლა
დირექტორი: გიორგი დავითულიანი